ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2343228

ნომერი: AR1362371

თარიღი : 07.12.2015

გაცემის თარიღი : 14.12.2015

გაცნობის თარიღი : 14.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქუჩიშვილი , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შუბაშვილი პ/ნ 01008050465
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 80ა ბ. 5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1362371 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1359525 ელექტრონული განცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას, კერძოდ ქ. თბილისში, #01.15.03.013.007, #01.15.03.013.005, #01.15.03.013.008 და #01.15.03.013.006 საკადასტრო ერთეულებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 26 ნოემბერს #AR1359525 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ირაკლი აბაშიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.15.03.013.007, #01.15.03.013.005, #01.15.03.013.008 და #01.15.03.013.006 საკადასტრო ერთეულებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისათვის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა, რაზეც სამსახურის 2015 წლის 14 დეკემბრის #2321703 ბრძანებით ეთქვა უარი.

ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილება სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1359525 განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ წერილში დასმული საკითხის ცნობის სახით მისაღებად საჭიროა ინტერაქტიულ რუკაზე მთლიანად მონიშნოთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი. იმის გამო, რომ ამჟამად შეტყობინების სახით მონიშნულია მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.15.03.016.001, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, შეტყობინების ცნობად მიღებასთან დაკავშირებით.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწაროებას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. დაინტერესებაში არსებული ობიექტის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.